

ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი - ლოტი 2

UWSCG-IPC-CW-Lot2-2: ხაშურში წყალარინების გამჭმენდი ნაგებობის, სათავე ნაგებობების, რეზერვუარებისა და მაგისტრალების პროექტირება-მშენებლობა-ოპერირება

დაბუსტების მოთხოვნა №2

2022 წლის 18 აპრილი

№	მიღებული შეკითხვა	წყალმომარაგების კომპანიის პასუხი
1	<p>ჩვენ შევამჩნიეთ, რომ წინა ტენდერთან შედარებით, საკვალიფიკაციო მოთხოვნები რადიკალურად შეიცვალა, რაც აერთიანებს ჩამდინარე წყლების გამჭმენდი ნაგებობის კრიტერიუმებს და წყალმომარაგების პროექტებს ჭაბურღილების, სატუმბი სადგურებისა და რეზერვუარების ჩათვლით. ვფიქრობთ, რომ ეს ცვლილებები ხელს შეუშლის კონკურენტულ ტენდერს, რადგან ძალიან ცოტაა კომპანია, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მკაცრ საკვალიფიკაციო მოთხოვნას.</p> <p>შებლდული კონკურენტული პირობების გამო გვიჭირს ტენდერში მონაწილეობა, ამიტომ, გთხოვთ, გადახედოთ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს ისე, რომ ტენდერი გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი; დაუშვით, რომ სპეციალიზებულმა ქვე-კონტრაქტორებმა დააკმაყოფილოს დამატებითი კრიტერიუმები (SCADA-ს გარდა) და, ასევე, გთხოვთ, მოგვცეთ დამატებით ვადა სატენდერო წინადადების წარმოდგენისათვის.</p>	<p>აღვნიშნავთ, რომ ჩაიშალა ხაშურის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტის წინა ორი ტენდერი: UWSCG-IPC-DB-LOT2: ხაშურში სათავე ნაგებობების, რეზერვუარებისა და მაგისტრალების პროექტირება-მშენებლობა და UWSCG-IPC-DBO-Lot-3: ხაშურში წყალარინების გამჭმენდი ნაგებობების პროექტირება-მშენებლობა-ოპერირება.</p> <p>UWSCG-IPC-CW-Lot2-2: ხაშურში წყალარინების გამჭმენდი ნაგებობების, სათავეების, რეზერვუარებისა და მაგისტრალების პროექტირება-მშენებლობა-ოპერირება აერთიანებს წინა ორ ტენდერს. შესაბამისად, მოთხოვნები შეიცვალა.</p> <p>მიმდინარე ლოტ 2 ტენდერის მოთხოვნები ვერ შეიცვლება.</p> <p>გარდა ამისა, მიღებულია დანართი №1 და განაცხადების მიღება გადაიწია 2022 წლის 2 მაისამდე, 15:00.</p>
2	<p>წინა ტენდერთან შედარებით, საკვალიფიკაციო მოთხოვნები რადიკალურად შეიცვალა და გამკაცრდა, რაც ვფიქრობთ, მკვეთრად შეამცირებს კონკურენციას.</p> <p>ხაშურის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტი - ლოტი 2 საწყისი შესარჩევი დოკუმენტები სამუშაოების პროექტირება-მშენებლობა-</p>	<p>აღნიშნული მოთხოვნა ვერ შეიცვლება.</p>

<p>ოპერირების შესყიდვისათვის გადახედვის შემდეგ გვსურს, გთხოვოთ, შეცვალოს შესარჩევი კრიტერიუმები, რადგანაც საწყისი შესარჩევი დოკუმენტების 4.2.2, 4.2.4 მუხლები ძალიან მკაცრია.</p> <p>ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ჩვენს რეგიონში არ არის არც ერთი კომპანია, რომელიც აკმაყოფილებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს.</p> <p>თუმცა, ბევრი კომპანიაა, რომლებსაც აქვთ მსგავსი ზომის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების, ჭაბურღილების და სატუმბი სადგურების დიზაინისა და მშენებლობის გამოცდილება.</p> <p>ჩვენ გვჯერა, რომ ინფრასტრუქტურული განვითარების მსგავსი პროექტი მიზნად ისახავს არა მხოლოდ რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას, არამედ ადგილობრივი საინჟინრო და სამშენებლო კომპანიების განვითარებას.</p> <p>გთხოვთ, გადახედოთ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს და გადახედოთ მათ, რათა ადგილობრივ კომპანიებს მიეცეთ მონაწილეობა ამ ტენდერში, რაც ასევე გაზრდის ტენდერის კონკურენტუნარიანობას.</p>	
--	--